



თესლოვანი ხეხილის (ვაშლი, მსხალი) მავნებელ-  
დაავადებებისა და სარეველებისაგან დაცვა  
აპრილი-მაისის თვეებში

სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი

2020

### აპრილის დასაწყისი

კვირტების დაბერვა-მწვანე კონუსის ფაზა

- შესხურება დაავადებების (ქეცის) წინააღმდეგ

პრეპარატი, მოქმედი ნივთიერება, პრეპარატის ხარჯვის ნორმა 1 ჰა-ზე:

ანტრაკოლი ბლაუ (პროპინები)-2,0-3,0 კგ/ჰა, ან ნანდო (ფლუაზინამი)-0,5-0,75 ლ/ჰა, ან ჩემპიონი (სპილენძის ჰიდროქსიდი)-4,0კგ/ჰა, ან კოსაიდი (სპილენძის ჰიდროქსიდი)- 3,0-4,0კგ/ჰა +

შესხურება მავნებლების წინააღმდეგ (ფარიანების, ცრუფარიანების, ტკიპების , ბუგრების, ჩრჩილების, ფსილების მოზამთრე ფაზები): მალაფოსი (მალათიონი)-1,0 ლ/ჰა, ან დინგო (დიმეთოატი)-1,1-1,9 ლ/ჰა + მიმწებებელი ტრენდ 90 (იზოდეცილის სპირტის ეტოქსილატი)-0,4 ლ/ჰა, ან სილვეტ გოლდი (ტრისილოქსან ალკოქსილატი)-0,4 ლ/ჰა.

### აპრილის მეორე ნახევარი

კოკრების განცალკევება, გავარდისფერება (ყვავილობის დასაწყისი)

- შესხურება ქეცის, ნაცრის, ჟანგას წინააღმდეგ : ლუნა სენსეიშენი (ფლოპირამი + ტრიფლოქსისტრობინი)-0,25-0,3 ლ/ჰა, ან ტასპა (დიფენოკონაზოლი + პროპიკონაზოლი)-0,15-0,2 ლ/ჰა, ან სკორი (დიფენოკონაზოლი)-0,15-0,2ლ/ჰა, ან მისტიკი (ტებუკონაზოლი)-0,5ლ/ჰა +

შესხურება მავნებლების წინააღმდეგ (კოკრიჭამიები, ფოთლიხვევიები, ბუგრები, ფსილები, ჩრჩილები, ტკიპები): კონფიდორ მაქსი (იმიდაკლოპრიდი)-0,07-0,1 კგ/ჰა, ან კარატე ზეონი (ლამბდა ციპალოტრინი)-0,4-0,8 ლ/ჰა, ან მალაფოსი (მალათიონი)-1,0 ლ/ჰა, ან კრალი (ციპერმეტრინი)-0,3 ლ/ჰა.

### აპრილის ბოლო

- შესხურება ვეგეტირებული სარეველების წინააღმდეგ წინააღმდეგ (მრავალწლიანი და ერთწლიანი ორლებნიანი და მარცვლოვანი სარეველები -ბურჩხა, გლერტა, ძურწა, შალაფა, მხოხავი ჭანგა, ნარი, ბირკა, აბრეშუმა) : კლინ-აპი (გლიფოსატი იზოპროპილის მარილი 360 გ/ლ)-3-4,5 ლ/ჰა, ან კლინი (გლიფოსატის იზოპროპილამინის მარილი)-2-3 ლ/ჰა, ან ბასტა (ამონიუმის გლუფოსინატი, 150 გ/ლ) – 3-5 ლ/ჰა, ან კაილეო (2,4 დ მჟავა 160 გ/ლ+გლიფოსატი 240 გ/ლ)-3-5 ლ/ჰა.

### მაისის დასაწყისი

ყვავილობის დასასრული

- შესხურება სოკოვანი დაავადებების წინააღმდეგ (ქეცი, ნაცარი, ჟანგა, სილაქავეები, მონილიოზი): ზატო სტარი (ტრიფლოქსისტრობინი +პირიმეტანილი)-0,4-0,6 ლ/ჰა, ან სკორი (დიფენოკონაზოლი)-0,15-0,2 ლ/ჰა +

შესხურება მავნებლების წინააღმდეგ (ხერხიები, ჩრჩილები, ოქროკუდა, ფოთლიხვევიები, ნაყოფჭამიები, ბუგრები, ტკიპები, მზომელები) : დეცის ფლუქსი (დელტამეტრინი 25 გ/ლ)-0,5-1,0 ლ/ჰა, ან კაიზო (ლამბდაციჰალოტრინი)-0,4-0,8 ლ/ჰა, ან ალპაკი (ალფა-ციპერმეტრინი)-0,2-0,35 ლ/ჰა, ან კონფიდორ მაქსი (იმिდაკლოპრიდი)-0,07-0,1 კგ/ჰა.

## მაისის ბოლო

ყვავილობის დასრულებიდან 10-12 დღის შემდეგ - ნასკვის განვითარება

- შესხურება ქეცისა და ნაცრის წინააღმდეგ: ზატო სტარი (ტრიფლოქსისტრობინი +პირიმეტანილი)-0,4-0,6 ლ/ჰა, ან მისტიკი (ტებუკონაზოლი)-0,5 ლ/ჰა, ან აფეტი (პენთიოპირადი)-0,75-1,0 ლ/ჰა, ან ტასპა (დიფენოკონაზოლი+პროპიკონაზოლი)-0,2 ლ/ჰა +

შესხურება მავნებლების წინააღმდეგ (ფოთლიხვევიები, მენაღმე ჩრჩილები, ფარიანები, მზომელები): დეცის ფლუქსი (დელტამეტრინი 25 გ/ლ)-0,4-1,0 ლ/ჰა, ან კორაგენი (ქლორანიტრანილიპროლი)-0,15-0,3 ლ/ჰა, ან ნურელ დ (ქლორპირიფოსი+ციპერმეტრინი)-1,5 ლ/ჰა, ან კონფიდორ მაქსი (იმიდაკლოპრიდი)-0,1 კგ/ჰა.

### შენიშვნა:

რეკომენდაციაში მოცემული პესტიციდები რეგისტრირებულია საქართველოში. შესაძლებელია მისი კორექტირება, ასევე პრეპარატების ჩანაცვლება სპეციალისტებთან შეთანხმებით კლიმატური პირობების, ზონალობის, პესტიციდების ასორტიმენტისა და გამოყენების რეგლამენტების გათვალისწინებით.

### სამუშაო ხსნარის მომზადება:

ჩატარებული წამლობის ეფექტურობისათვის საჭიროა სამუშაო ხსნარის კონცენტრაციის ზუსტი განსაზღვრა: სამუშაო ხსნარის კონცენტრაცია არის პრეპარატის ხარჯვის ნორმა (1 ჰა-ზე) გამრავლებული 100-ზე და გაყოფილი სამუშაო ხსნარის ხარჯვის ნორმაზე (1 ჰა-ზე).

